



„ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო (CEMR)

წარმოდგენილ იქნა CEMR-ის გენერალურ ასამბლეაზე, ინსბრუკში, 2006 წლის მაისში.
მომზადებულ იქნა ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის V სათემო სამოქმედო პროგრამის
ფარგლებში

კონტაქტი: Johanna Törnström

Johanna.Tornstrom@ccre-cemr.org

შესავალი

„ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ“ გამიზნულია ევროპის ადგილობრივი და რეგიონალური მთავრობებისთვის, რომლებიც მოწვეულნი არიან, ხელი მოაწერონ დოკუმენტს, რათა ფორმალურად და საჯაროდ დაადასტურონ ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის პრინციპისადმი ერთგულება და საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში დანერგონ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები.

ამ ვალდებულებების განსახორციელებლად, თითოეული ხელმომწერი მხარე ვალდებულია, შეადგინოს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება ამ მიზნის მიღწევისათვის საჭირო პრიორიტეტები, ქმედებები და რესურსები.

ამასთან, თითოეული ხელმომწერი მხარე ვალდებულია, ითანამშრომლოს ყველა ინსტიტუციასა და ორგანიზაციასთან საკუთარი ტერიტორიაზე, რათა რეალურად ხელი შეუწყოს ჭეშმარიტი თანასწორობის მიღწევას.

ქარტია შეიქმნა ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭოს მიერ სხვა მრავალ, ქვემოთ ჩამოთვლილი პარტნიორებთან ერთად განხორციელებული პროექტის ფარგლებში (2005-2006). პროექტს მხარს უჭერდა ევროკომისია ქალებისა და მამაკაცებს შორის თანასწორობისათვის მისი მეხუთე სათემო სამოქმედო პროგრამის ფარგლებში.

...

ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა წარმოადგენს ფუნდამენტურ უფლებას ყველასთვის და არსებით ფასეულობას ყველა დემოკრატიისათვის. იმისათვის, რომ ეს უფლება რეალიზებულ იქნას, არა მარტო კანონიერად უნდა იქნას აღიარებული, არამედ ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული ყველა ცხოვრებისეულ ასპექტში: პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული.

ფორმალური აღიარების და მიღწეული პროგრესის მრავალი მაგალითის მიუხედავად, ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა ყოველდღიურ ცხოვრებაში ჯერ კიდევ არ არის რეალური. პრაქტიკაში ქალებსა და მამაკაცებს არ აქვთ ერთი და იგივე უფლებები. სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უთანასწორობები კვლავ არსებობს, მაგალითად, ანაზღაურებას შორის განსხვავებები და პოლიტიკური წარმომადგენლობის ნაკლებობა.

ეს უთანასწორობა არის შედეგი სოციალური სტრუქტურების, რომლებიც ეფუძნება ოჯახში, განათლებაში, კულტურაში, მედიაში, სამუშაო ადგილებსა და საზოგადოებაში არსებულ მრავალ სტერეოტიპს. მრავალი სფერო არსებობს, სადაც შესაძლებელია მოქმედება, ახალი მიდგომების შემოღება და სტრუქტურული ცვლილებების შეტანა.

როგორც ხალხთან ყველაზე დაახლოებული მმართველობის სფეროები, ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლება წარმოადგენს ყველაზე კარგ პოზიციაზე მყოფ ძალას უთანასწორობის დასაძლევად და ჭეშმარიტად ეგალიტარული საზოგადოების ხელშესაწყობად. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და მთელ რიგ ადგილობრივ აქტორებთან თანამშრომლობით მათ შეუძლიათ კონკრეტული ღონისძიებების გატარება ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის სასარგებლოდ.

მეტიც, სუბსიდიარობის პრინციპი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის უფლების პრაქტიკულ განხორციელებასათვის. ეს პრინციპი ვრცელდება მმართველობის ყველა - ევროპულ, ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებებს განსხვავებული პასუხისმგებლობები აქვთ, ყველა მათგანს შეუძლია და ვალდებულია, ითამაშოს დადებითი როლი პრაქტიკაში თანასწორობის წახალისების საქმეში, რაც აისახება მათი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე.

სუბსიდიარობის პრინციპთან მჭიდრო კავშირშია ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობის პრინციპები. 1985 წლის ევროპის საბჭოს ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერა და რატიფიცირება გაუწია ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობამ, ხაზს უსვამს “ადგილობრივი ხელისუფლების უფლებას და უნარს, კანონის ფარგლებში დაარეგულიროს და მართოს საზოგადოებრივ საქმეთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად”. თანასწორობის უფლების განხორციელება და ხელშეწყობა უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის ამ კონცეფციის არსი.

ადგილობრივი ან რეგიონული დემოკრატია უნდა იძლეოდეს ყველაზე სწორი არჩევანის გაკეთების საშუალებას ყოველდღიური ცხოვრების ყველაზე კონკრეტულ ასპექტებში, როგორებიცაა მაგალითად, საცხოვრებლით უზრუნველყოფა, უსაფრთხოება, საჯარო ტრანსპორტი, დასაქმება ან ჯანდაცვა.

მეტიც, ქალების სრული ჩართულობა ადგილობრივი და რეგიონალური პოლიტიკის განვითარებასა და განხორციელებაში, საშუალებას იძლევა რომ გათვალისწინებულ იქნას მათი ცხოვრებისეული გამოცდილება, “ნოუ-ჰაუ” და შემოქმედებითი უნარი.

თუ ჩვენ გვინდა მივიღოთ თანასწორობაზე დაფუძნებული საზოგადოება, არსებითი მნიშვნელობისაა, რომ ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლება სრულად ითვალისწინებდეს გენდერულ ასპექტებს თავინთ პოლიტიკაში, ორგანიზაციასა და პრაქტიკაში. დღევანდელ და ხვალინდელ სამყაროში რეალური თანასწორობა მამაკაცებსა და ქალებს შორის საკვანძო მნიშვნელობისაა ეკონომიკური და სოციალური წარმატებისათვის - არა მხოლოდ ევროპულ ან ეროვნულ დონეზე, არამედ ასევე ჩვენს რეგიონებში, ქალაქებსა და ადგილობრივ თემებში.

• • •

ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭო (CEMR) და მისი ადგილობრივი და რეგიონალური ხელისუფლებების მიერ არჩეულ წარმომადგენელთა ქალთა კომიტეტი მრავალი წლის მანძილზე აქტიურად უწყობდნენ ხელს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. 2005 წელს CEMR-მა შეიმუშავა კონკრეტული საშუალება ევროპის ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებისთვის: „ქალაქი თანასწორობისთვის.“ გარკვეული ევროპული ქალაქების და მუნიციპალიტეტების გამოცდილებაზე დაფუძნებით “ქალაქი თანასწორობისათვის” იძლევა მეთოდოლოგიას ქალებისა და მამაკაცებს შორის თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისათვის ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე. ეს ქარტია ამ სამუშაოს ეყრდნობა.

ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების როლი გენდერული თანასწორობის ხელშეწყობაში ხაზგასმულ იქნა IULA-ს (ადგილობრივი ხელისუფლებების თ საერთაშორისო კავშირი) მსოფლიო დეკლარაციაში “ქალები ადგილობრივ ხელისუფლებაში”, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წელს. ახალი მსოფლიო ორგანიზაცია გაერთიანებული ქალაქები და

ადგილობრივი ხელისუფლება ინარჩუნებს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას, როგორც ერთ-ერთ თავის პრინციპულ მიზანს.

პრეამბულა

ევროპული მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭომ, წარმოადგენს რა ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებას, შემდეგ პარტნიორებთან ერთად:

ბულგარეთის რესპუბლიკის
მუნიციპალიტეტების ეროვნული
ასოციაცია (NAMRB)
კვიროსის მუნიციპალიტეტების კავშირი
(UCM)

ჩეხეთის რესპუბლიკის ქალაქებისა და
თემების კავშირი (SMO CR)
CEMR-ის ფრანგული ნაწილი (AFCCRE)

CEMR-ის გერმანული ნაწილი (RGRE)
საბერძნეთის მუნიციპალიტეტების და
თემების ცენტრალური კავშირი (KEDKE)
უნგრეთის ადგილობრივი
ხელისუფლების ეროვნული ასოციაცია
(TÖOSZ)
CEMR-ის იტალიური ნაწილი (AICCRE)

AICCRE-ს ტოსკანას ფედერაცია

ლუქსემბურგის ქალაქებისა და
მუნიციპალიტეტების ასოციაცია
(SYVICOL)

მუნიციპალიტეტების და პროვინციების
ესპანური ფედერაცია (FEMP)
ქალაქი ვენა (ავსტრია)
ქალაქი სენ ჟან დე ლა რუელი
(საფრანგეთი)

ქალაქი ფრანკფურტი მაინზე (გერმანი)
ქალაქი კარგახენა (ესპანეთი)
ქალაქი ვალენსია (ესპანეთი)
დროისა და მობილობის სახლი
ბელფორტ-მონტბელარი (საფრანგეთი)

ადგილობრივი და რეგიონული
თვითმმართველობის ევრო-ხმელთაშუა
ზღვის პარტნიორობის მუდმივმოქმედი
კომიტეტი (COPPEM)

მივუთითებთ რა, რომ ევროპის საზოგადოება და კავშირი ეფუძნება ფუნდამენტურ უფლებებსა და თავისუფლებებზე, მათ შორის ქალებისა და მამაკაცებს შორის თანასწორობის ხელშეწყობაზე და რომ ევროპის კანონმდებლობა ევროპაში ამ სფეროში მიღწეული წარმატების საფუძვლებს წარმოადგენს;

მივუთითებთ რა, გაეროს ადამინის უფლებების საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოსა და კერძოდ, ადამინის უფლებებთან უნივერსალური დეკლარაციაზე და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციაზე, რომელიც მიღებულ იქნა 1979 წელს;

ვამახვილებთ რა ყურადღებას ევროპის საბჭოს მნიშვნელოვან წვლილზე ქალებისა და მამაკაცებს შორის თანასწორობის და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელშეწყობის საქმეში;

ვითვალისწინებთ რა, რომ თანასწორობა ქალებსა და მამაკაცებს შორის გულისხმობს ნებას, განხორციელდეს ქმედებები სამი მიმართულებით. კერძოდ, პირდაპირი უთანასწორობების აღმოფხვრა, არაპირდაპირი უთანასწორობების აღმოფხვრა და ისეთი პოლიტიკური, სამართლებრივი და სოციალური სტრუქტურის მშენებლობა, რომელიც ხელს შეუწყობს ეგალიტარისტული დემოკრატიის პროაქტიულ განვითარებას.

წუხილს გამოვთქვამთ იმ ფაქტის გამო, რომ კვლავ არსებობს შეუსაბამობა თანასწორობის უფლების დე იურე აღიარებასა და მის პრაქტიკაში ეფექტიანად აღსრულებას შორის;

ვითვალისწინებთ რა, რომ ევროპის ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობები თამაშობენ და კვალაც უნდა თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს თავიანთი მოქალაქეებისა და მაცხოვრებლებისთვის თანასწორობის უფლების განხორციელებაში, თავიანთი უფლებამოსილების ნებისმიერ ასპექტში;

ვითვალისწინებთ რა, რომ ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებული მონაწილეობა და წარმომადგენლობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში და წამყვან თანამდებობებზე არსებითი მნიშვნელობისაა დემოკრატიისათვის;

ვიღებთ რა შთაგონებას, ჩვენი ქმედებისათვის ქალების მიმართ ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის 1979 წლის კონვენციისგან, პეკინის დეკლარაციისგან და გაეროს 1995 წლის სამოქმედო პლატფორმისგან, გენერალური ასამბლეის 2000 წლის 23-ე საგანგებო სესიის რეზოლუციისგან (პეკინი +5), ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების ქარტიისგან, გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობის შესახებ საბჭოს 1996 წლის დეკემბრის რეკომენდაციისგან და აგრეთვე ადგილობრივ მმართველობაში ქალების ჩართულობის შესახებ 1998 წლის ადგილობრივი თვითმმართველობების საერთაშორისო კავშირის მსოფლიო დეკლარაციისგან;

გვსურს რა, აღვნიშნოთ ქალების წინააღმდეგ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის აღმოფხვრის 1981 წლის გაეროს კონვენციის ძალაში შესვლის 25 წლის იუბილე;

შეიმუშავა ადგილობრივ ცხოვრებაში ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის ქარტია, და იწვევს ევროპის ადგილობრივ და რეგიონალურ მთავრობებს ხელი მოაწერონ და დანერგონ ეს ქარტია.

ნაწილი 1

პრინციპები

ადგილობრივ ცხოვრებაში ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის ქარტიის ხელმძღვრეები აღიარებენ ჩვენი საქმიანობის შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპებს:

1. ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა ფუნდამენტურ უფლებას წარმოადგენს

ეს უფლება უნდა განხორციელდეს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების მიერ მათი საქმიანობის ყველა სფეროში, მათ შორისაა ვალდებულება აღმოფხვრან ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია, პირდაპირი თუ არაპირდაპირი.

2. ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის უზრუნველსაყოფად, დისკრიმინაციის და უგულვებელყოფის პრობლემასთან ბრძოლაა აუცილებელი

უნდა მოხდეს სქესის, რასის, კანის ფერის, ეთნიკური და სოციალური წარმომავლობის, გენეტიკური თვისებების, ენის, რელიგიის ან რწმენის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული უმცირესობის წევრობის, საკუთრების, დაბადების, ფიზიკური უუნარობის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის ან სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის საფუძველზე დისკრიმინაციისა და უგულვებელყოფის გათვალისწინება ქალებსა და მამაკაცებს შორის უთანასწორობის პრობლემასთან ბრძოლისას.

3. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებული მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების წინაპირობაა

ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის უფლება მოითხოვს, რომ ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებებმა მიიღონ ყველა საჭირო ზომა და გაატარონ შესაბამისი სტრატეგიული კურსი გადაწყვეტილების მიღების პროცესის ყველა სფეროში ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებული წარმომადგენლობისათვის და მონაწილეობისათვის.

4. გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრა ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მისაღწევად.

ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ისეთი სტერეოტიპების და დაბრკოლებების აღმოფხვრას, რომლებიდანაც მოდის ქალების სტატუსისა და მდგომარეობის მიხედვით დისკრიმინაცია და რომლებიც წარმოშობენ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ასპექტებში ქალებისა და მამაკაცების როლების არათანასწორ ევოლუციას.

5. გენდერული პერსპექტივის ინტეგრირება ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ყველა საქმიანობაში აუცილებელია ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის გასამდიერებლად;

გენდერული პერსპექტივა უნდა იქნას გათვალისწინებული ისეთი წესების, მეთოდების და ინსტრუმენტების შედგენისას, რომლებიც გავლენას ახდენენ ადგილობრივი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. მაგალითად, “გენდერული მენისტრინგის”¹ და “გენდერული ბიუჯეტირების”² გამოყენება. ამ მიზნით ქალთა გამოცდილება ადგილობრივ ცხოვრებაში, მათ შორის საცხოვრებელი და სამუშაო პირობები, უნდა იქნას გაანალიზებული და გათვალისწინებული.

6. შესაბამისად უზრუნველყოფილი სამოქმედო გეგმები და პროგრამები აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის გასაზრდელად.

ადგილობრივმა და რეგიონულმა ხელისუფლებამ უნდა შეიმუშაოს თანასწორობის სამოქმედო გეგმები და პროგრამები, სათანადო ფინანსური და ადამიანური საშუალებებით და მათი განხორციელებისთვის საჭირო რესურსით.

ნაწილი II

ქარტიის და მისი ვალდებულებების განხორციელება

ხელმომწერი მხარე თავის თავზე იღებს ვალდებულებას, განახორციელოს შემდეგი სპეციფიკური ნაბიჯები ქარტიის დებულებების განსახორციელებლად:

¹ გენდერული მენისტრინგი: 1997 წლის ივლისში გაეროს ეკონომიკურმა და სოციალურმა საბჭომ (ECOSOC) შემდეგნაირად განსაზღვრა გენდერული მენისტრინგის კონცეფცია: “გენდერული პერსპექტივის მენისტრინგი არის პროცესი, სადაც ფასდება ნებისმიერი დაგეგმილი ღონისძიების ზეგავლენა ქალებსა და მამაკაცებზე, მათ შორის ყველა სფეროში და ყველა დონეზე კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პროგრამების ზეგავლენა. ეს არის სტრატეგია მოხდეს ქალებისა და აგრეთვე მამაკაცების საჭიროებებისა და გამოცდილების ინტეგრირება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროში სხვადასხვა პოლიტიკის და პროგრამების შედგენის, განხორციელების, მონიტორინგის და შეფასების დროს. რათა ქალებმა და მამაკაცებმა მიიღონ თანაბარი სარგებელი და არ გაგრძელდეს უთანასწორობა”

² გენდერული ბიუჯეტირება: “გენდერული ბიუჯეტირება არის გენდერული მენისტრინგის გამოყენება ბიუჯეტირების პროცესში. ეს ნიშნავს ბიუჯეტების გენდერულ დაფუძნებულ შეფასებას, გენდერული პერსპექტივის ჩართვას ბიუჯეტირების პროცესის ყველა დონეზე და შემოსავლებისა და ხარჯების რესტრუქტურისა და გენდერული თანასწორობის წახალისების მიზნით.

(1) ამ ქარტიის თითოეულმა ხელმომწერმა მხარემ ქარტიის ხელმოწერიდან გონივრულ დროში (რომელიც არ აღემატება 2 წელს) უნდა განავითაროს და დაამტკიცოს თანასწორობის სამოქმედო გეგმა და შემდეგ განახორციელოს ის.

(2) თანასწორობის სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ხელმომწერი მხარის მიზნებსა და პრიორიტეტებს, გასატარებელ ღონისძიებებს და გამოყოფილ რესურსებს, რათა სისრულეში იქნას მოყვანილი ქარტიის ვალდებულებები. გეგმა ასევე განსაზღვრავს განხორციელების შესაძლო ვადებს. როდესაც ხელმომწერს უკვე აქვს თანასწორობის სამოქმედო გეგმა, მას შეუძლია მოახდინოს მისი გადახედვა/შესწორება, რათა ქარტიის ფარგლებში დასმულ ყველა საკითხს დაეთმოს სათანადო ყურადღება.

(3) თითოეულმა ხელმომწერმა მხარემ უნდა გაიაროს კონსულტაციები თანასწორობის სამოქმედო გეგმის დამტკიცებამდე და აგრეთვე მისი მიღებისთანავე ფართოდ გაავრცელოს. ასევე უნდა მოხდეს მიღწეული წინსვლის შესახებ რეგულარული საჯარო ანგარიშგება.

(4) თითოეულმა ხელმომწერმა უნდა ჩაასწოროს სამოქმედო გეგმა სიტუაციიდან გამომდინარე და შეადგინოს შესაბამისი გეგმები ყოველი ახალი პერიოდისათვის.

(5) თითოეული ხელმომწერი ვალდებულია, ითანამშრომლოს შეფასების შესაბამის სისტემასთან, რომელიც უნდა შეიქმნას რათა შეაფასოს ქარტიის განხორციელების პროგრესი და დაეხმაროს ევროპის ადგილობრივ და რეგიონულ მთავრობებს ისწავლონ ერთმანეთისგან. ამ მიზნით, თანასწორობის სამოქმედო გეგმა და სხვა შესაბამისი საჯარო მასალები უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

(6) თითოეულმა ხელმომწერმა წერილობითი სახით უნდა აცნობოს ევროპის მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭოს ქარტიის ხელმოწერის შესახებ და აგრეთვე გამოყოს მომავალი თანამშრომლობისათვის საკონტაქტო პირი.

ნაწილი III

დემოკრატიული სტაბილურობა

მუხლი 1

(1) ხელისმომწერი მხარე აღიარებს რომ ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის უფლება დემოკრატიის ფუნდამენტური წინაპირობაა და დემოკრატიულ სახელმწიფოს არ შეუძლია იგნორირება გაუწიოს ქალების უნარებს, ცოდნას, გამოცდილებასა და შემოქმედებით უნარს. ამ მიზნით, თანასწორობის საფუძველზე მან უნდა უზრუნველყოს ჩართულობის, წარმომადგენლობითობის და მონაწილეობის უფლება ყველა წარმოშობის და ასაკობრივი ჯგუფის ქალისათვის პოლიტიკურ და საჯარო გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

(2) ხელისმომწერი, როგორც დემოკრატიულად არჩეული ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია თავისი მოსახლეობის და ტერიტორიის კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე, იღებს ვალდებულებას წახალისოს და ხელი შეუწყოს ამ უფლების პრაქტიკულ განხორციელებას საქმიანობის ყველა სფეროში - როგორც ადგილობრივი საზოგადოების დეკონტრასტიული ლიდერი, მომსახურების მიმწოდებელი და განმკარგველი, დამგეგმავი და მარეგულირებელი და როგორც დამქირავებელი.

პოლიტიკური როლი

მუხლი 2 - პოლიტიკური წარმომადგენლობა

(1) ხელმომწერი აღიარებს ხმის მიცემის თანაბარ უფლებას მამაკაცებს და ქალებს შორის, ისევე როგორც არჩევით თანამდებობებზე კანდიდატურების წაყენების უფლებას.

(2) ხელმომწერი აღიარებს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ უფლებას მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკის ფორმულირებასა და განხორციელებაში, საჯარო სამსახურში თანამდებობის დაკავებაში და მმართველობის ყველა დონეზე ყველა საჯარო ფუნქციის შესრულებაში.

(3) ხელისმომწერი აღიარებს დაბალანსებული წარმომადგენლობითობის პრინციპს ყველა არჩევითი და საჯარო გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს შემთხვევაში.

(4) ხელისმომწერი იღებს ვალდებულებას მიიღოს ყველა საჭირო ზომა ზემოთხსენებული უფლების და პრინციპის მხარდასაჭერად. მათ შორის:

- ხელი შეუწყოს ხმის მისაცემად ქალების რეგისტრაციას, ხმის მიცემის ინდივიდუალური უფლების განხორციელებას და საჯარო მოხელედ კანდიდატურის წამოყენებას
- წახალისოს პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები დაამტკიცონ და განახორციელონ ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებული წარმომადგენლობის პრინციპი
- ხელი შეუწყოს პოლიტიკურ პარტიებს და ჯგუფებს, გაატარონ კანონიერი ქმედებები, მათ შორის სადაც საჭიროა კვოტების დაწესება, რათა გაიზარდოს კანდიდატებად შერჩეული და საბოლოოდ არჩეული ქალების რაოდენობა
- დაარეგულიროს ქცევის საკუთარი პროცედურები და სტანდარტები, რათა პოტენციური კანდიდატები და შერჩეული წარმომადგენლები არ გახდნენ სტერეოტიპული ქცევის ფორმების და ტერმინოლოგიის, ან მუქარის მსხვერპლნი
- მიიღოს ზომები, რათა მისცეს არჩეულ წარმომადგენლებს საშუალება შეათავსონ თავიანთი პირადი, სამუშაო და საჯარო ცხოვრება. მაგალითად, უზრუნველყოს რომ

განრიგი, სამუშაო მეთოდები და ა.შ. არჩეული წარმომადგენლების სრულყოფილი მონაწილეობისათვის

(5) ხელისმომწერი იღებს ვალდებულებას პოპულარიზება გაუკეთოს დაბალანსებული წარმომადგენლობის პრინციპს და გამოიყენოს იგი გადაწყვეტილების მიღების პროცესში და საკონსულტაციო ორგანოებთან მუშაობისას, აგრეთვე გარეშე ორგანოების დანიშვნის დროს.

თუმცა, იქ, სადაც დღესდღეობით არ არსებობს დაბალანსებული გენდერული წარმომადგენლობა მამაკაცებსა და ქალებს შორის, ხელისმომწერი ზემოთხსენებულ რეკომენდაციებს განახორციელებს ისე, რომ არანაკლები უპირატესობა მიენიჭოს გენდერულ უმცირესობას, ვიდრე ამჟამად ენიჭება გენდერულ ბალანსს.

(6) იგი აგრეთვე იღებს ვალდებულებას, რომ არც ერთი საჯარო თუ პოლიტიკური პოსტი, რომელზეც ის ნიშნავს ან არჩევს წარმომადგენლებს, არც პრინციპულად და არც პრაქტიკაში არ არის შეზღუდული მხოლოდ ერთი სქესის წარმომადგენლისთვის ან არ აღიქმება ასეთად სტერეოტიპული შეხედულებებით.

მუხლი 3 - პოლიტიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში მონაწილეობა

(1) ხელისმომწერი აღიარებს, რომ მოქალაქეების უფლება მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ აქტივობაში ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპია. იგი აგრეთვე აღიარებს, რომ ქალებსა და მამაკაცებს აქვთ უფლება, ერთნაირად მიიღონ მონაწილეობა საკუთარი რეგიონის, მუნიციპალიტეტის და ადგილობრივი ამხანაგობის მართვაში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

(2) საზოგადოებრივი ჩართულობის სხვადასხვა ფორმებთან მიმართებაში, მაგალითად როგორცაა ჩართულობა საკონსულტაციო კომიტეტების მეშვეობით, სამეზობლო საბჭოები, ელექტრონული ჩართულობა და ა.შ., ხელისმომწერმა უნდა უზრუნველყოს, რომ ქალები და მამაკაცების ქონდეთ რეალური საშუალება თანაბრად მიიღონ მონაწილეობა. როდესაც ჩართულობის არსებული საშუალებები არ უზრუნველყოფენ ამგვარ თანასწორობას, ხელისმომწერმა უნდა განავითაროს და გამოსცადოს ახალი მეთოდები.

(3) ხელისმომწერი იღებს ვალდებულებას აქტიური პოპულარიზაცია გაუწიოს პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალებისა და მამაკაცების თანაბარ მონაწილეობას საზოგადოების ყველა ნაწილიდან, განსაკუთრებით ქალები და მამაკაცები უმცირესობებიდან, რომლებიც შეიძლება სხვა შემთხვევაში უგულვებელყოფილი იყვნენ.

მუხლი 4 - თანასწორობის საჯარო ვალდებულება

(1) ხელმომწერი, როგორც თავისი ტერიტორიის და საზოგადოების დემოკრატი ხელმძღვანელი და წარმომადგენელი, ვალდებულია გააკეთოს საჯარო განცხადება ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის პრინციპის მხარდასაჭერად, რაც უნდა მოიცავდეს:

- განცხადება ამ ქარტიის ხელმომწერის შესახებ, რაც მოყვა უზენაისი წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ამ ქარტიის განხილვას და დამტკიცებას;
- ვალდებულება შეასრულოს ამ ქარტიით დაკისრებული პასუხისმგებლობანი და მოახდინოს საჯარო ანგარიშგება რეგულარულად თანასწორობის სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ;
- ვალდებულება, რომ ხელმომწერი მხარე და მისი არჩეული წევრები, დაემორჩილებიან და მიყვებიან გენდერულ თანასწორობასთან მიმართებაში სწორი ქცევის სტანდარტებს.

(2) ხელისმომწერი გამოიყენებს თავის დემოკრატიულ მანდატს, რათა წახალისოს სხვა პოლიტიკოსები, სახელმწიფო დაწესებულებები, კერძო ორგანოები და სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციები მიიღონ ზომები, რათა პრაქტიკაში უზრუნველყოფილ იქნას ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობა.

მუხლი 5 - პარტნიორებთან მუშაობა თანასწორობის მხარდაჭერისთვის

(1) ხელისმომწერი ვალდებულია ითანამშრომლოს ყველა პარტნიორთან, იქნება ეს საჯარო ან კერძო სექტორი თუ სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რათა ხელი შეუწყოს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას ცხოვრების ყველა ასპექტში. ამ კუთხით მან განსაკუთრებით უნდა ითანამშრომლოს თავის საზოგადოებრივ პარტნიორებთან.

(2) ხელისმომწერმა უნდა გაიაროს კონსულტაციები თავის პარტნიორ ორგანოებთან და ორგანიზაციებთან, მათ შორის საზოგადოებრივ პარტნიორებთან, თანასწორობის სამოქმედო გეგმის განვითარების და თანასწორობასთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ მნიშვნელოვან საკითხზე.

მუხლი 6 - სტერეოტიპებთან დაკავშირება

(1) ხელისმომწერი იღებს ვალდებულებას, დაუპირისპირდეს და შეძლებისდაგვარად აღკვეთოს ცრურწმენები, ქმედება, ენის და გამოსახულებების გამოყენება, რომლებიც ეფუძნება სქესთა შორის უპირატესობის იდეას, ან ქალებისა და მამაკაცების სტერეოტიპულ როლებს.

(2) ამ მიზნით ხელისმომწერმა უნდა უზრუნველყოს, რომ მისი პირადი საჯარო და შიდა ურთიერთობები სრულად ეთახმებოდეს ზემოთ ვალდებულებას და პოზიტიური გენდერული მაგალითის წარმოჩენას.

(3) ხელმომწერი აგრეთვე უნდა დაეხმაროს თანამშრომლებს ტრენინგის გზით და სხვა საშუალებებით, რათა მოხდეს სტერეოტიპული დამოკიდებულების და ქცევის აღმოჩენა და აღმოფხვრა. მან ასევე უნდა დაარეგულიროს ამ მხრივ ქცევის სტანდარტები.

(4) ხელმომწერი ჩაატარებს აქტივობებს და კამპანიებს, რათა გაზარდოს ცნობიერება იმ მნიშვნელოვანი როლის შესახებ, რასაც გენდერული სტერეოტიპები თამაშობენ ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მიღწევის საქმეში.

მუხლი 7 - კარგი ადმინისტრირება და კონსულტაცია

(1) ხელმომწერი აღიარებს ქალებისა და მამაკაცების უფლებას, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი საქმეების თანასწორად, მიუკერძოებლად, სამართლიანად და დროულად განხილვა/გადაჭრა, მათ შორის:

- უფლება მოსმენილ იქნას მათი მოსაზრება სანამ მიღებული იქნება ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც მათზე რაიმე სახით ზემოქმედებას მოახდენს;
- ხელისუფლების მოვალეობა განმარტოს თავისი გადაწყვეტილებების მიზეზები;
- ინფორმაციის მოპოვების უფლება იმ საკითხებზე, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანზე.

(2) ხელმომწერი აღიარებს, რომ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მისი პოლიტიკის და გადაწყვეტილების მიღების ხარისხი შეიძლება გაიზარდოს თუ ყველას, ვისზეც ეს უკანასკნელი ახდენს გავლენას, შეეძლება კონსულტაციის მიცემა. იგი აღიარებს რომ

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს ქალებსა და მამაკაცებს თანაბრად მიუწვდებოდეთ ხელი ინფორმაციაზე და ქონდეთ ამ ინფორმაციაზე რეაგირების თანაბარი შესაძლებლობა.

(3) ხელმომწერი ამრიგად იღებს ვალდებულებას, შეძლებისდაგვარად გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

- უზრუნველყოს, რომ ინფორმაციის მიწოდებისას გათვალისწინებულ იქნას ქალებისა და მამაკაცების საჭიროებები, მათ შორის მათი წვდომა ინფორმაციაზე და საკომუნიკაციო საშუალებებზე.
- უზრუნველყოს, რომ კონსულტაციების დროს, პროცესში თანასწორი წარმომადგენლობით მონაწილეობენ ისეთი პირები, რომელთა აზრით, სხვა შემთხვევაში შეიძლება უგულვებელყოფილი ყოფილიყო და რომ ამისთვის გატარებულია ყველა საჭირო სამართლებრივი ქმედება.
- სადაც ამას საჭიროება მოითხოვს, ჩაატაროს ცალკე კონსულტაციები ქალებთან.

თანასწორობის ზოგადი ჩარჩო

მუხლი 8 - ზოგადი ვალდებულებები

(1) ხელისმომწერი თავისი კომპეტენციის ყველა სფეროში აღიარებს, პატივს სცემს და ხელს შეუწყობს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის შესაბამის უფლებებს და პრინციპებს და შეეწინააღმდეგება გენდერთან დაკავშირებულ დისკრიმინაციას.

(2) ამ ქარტით გათვალისწინებული ვალდებულებები ხელმომწერს ეხება მხოლოდ მისი სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში.

მუხლი 9 - გენდერული შეფასება

(1) ხელისმომწერი ვალდებულია თავისი კომპეტენციის ყველა სფეროში ჩაატაროს გენდერული შეფასება, როგორც ეს გაწერილია ამ ქარტიაში

(2) ამ მიზნით, ხელმომწერი ვალდებულია შეადგინოს გენდერული შეფასების პროგრამა შემდეგი განხორციელებისათვის, მისი საკუთარი პრიორიტეტების, რესურსების და ხელსაყრელი დროის გათვალისწინებით. ეს პროგრამა შემდეგში უნდა გახდეს თანასწორობის სამოქმედო გეგმის ნაწილი ან უნდა იქნას გათვალისწინებული მასში.

(3) გენდერული შეფასება, შესაბამის შემთხვევაში, უნდა მოიცავდეს შემდეგ ეტაპებს: არსებული პოლიტიკის, პროცედურების, პრაქტიკის და მოხმარების წესის გადახედვა, რათა დადგინდეს წარმოშობენ თუ არა ისინი რაიმე სახის დისკრიმინაციას, ეფუძნებიან თუ არა ისინი გენდერულ სტერეოტიპებს და ადექვატურად ითვალისწინებენ თუ არა ისინი ქალებისა და მამაკაცების სპეციფიკურ საჭიროებებს.

- ფინანსური და სხვა სახის რესურსების გადანაწილების გადახედვა ზემოხსენებული მიზეზების გამო
- პრიორიტეტების და საჭიროებისამებრ მიზნების იდენტიფიცირება რათა მოხდეს ამ განხილვების შედეგად წარმოშობილი საკითხების მოგვარება და მომსახურების მიწოდებისას მიღებული გაუმჯობესების დადგენა
- მოხდეს ახალ თუ შესრობებული პოლიტიკასთან, პროცედურებსა და რესურსების მოძიებაში ცვლილებთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი შემოთავაზების შეფასება ადრეულ ეტაპზე, რათა დადგინდეს მათი პონტენციური ზემოქმედება

ქალებსა და მამაკაცებზე. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება, ამ შეფასების გათვალისწინებით

- მოხდეს მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინება, ვინც განიცდის მრავალმხრივ დისკრიმინაციას ან უგულვებელყოფას

მუხლი 10 - მრავალმხრივი დისკრიმინაცია ან უგულვებელყოფა

(1) ხელმომწერი აღიარებს რომ ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია იქნება სქესის, რასის, ეთნიკური თუ სოციალური წამომავლობის, გენეტიკური თვისებების, ენის, რელიგიის ან რწმენის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნულ უმცირესობისადმი მიკუთვნებულობის, საკუთრების, დაბადების, ფიზიკური უუნარობის, ასაკის თუ სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე - აკრძალულია.

(2) ხელმომწერი აგრეთვე აღიარებს, რომ ამ აკრძალვის მიუხედავად, ბევრი ქალი და მამაკაცი განიცდის მრავალმხრივ დისკრიმინაციას და უგულვებელყოფას, მათ შორის სოციალურ-ეკონომიკური კუთხით, რაც პირდაპირ ზემოქმედებს მათ უნარზე მოახდინონ ამ ქარტიაში მოყვანილი სხვა უფლებების რეალიზება.

(3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას მიიღოს ყველა გონივრული ზომა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, რათა აღკვეთოს მრავალმხრივი დისკრიმინაციის და უგულვებელყოფის შედეგებს, მათ შორის:

- უზუნველყოს, რომ მრავალმხრივი დისკრიმინაციის და უგულვებელყოფის საკითხები გათვალისწინებულია თანასწორობის სამოქმედო გეგმაში და გენდერულ შეფასებაში;
- უზუნველყოს, რომ მრავალმხრივი დისკრიმინაციისა და უგულვებელყოფისგან წარმოშობილი საკითხები გათვალისწინებულ იქნას ამ ქარტიის სხვა მუხლების მიხედვით გატარებული ქმედებების დროს;
- განახორციელოს საჯარო საინფორმაციო კამპანიები სტერეოტიპების წინააღმდეგ და იმ ქალებისა და მამაკაცებისადმი თანასწორი მოპყრობის მხარდასაჭერად, რომლებიც განიცდიან დისკრიმინაციას;
- მიიღოს კონკრეტული ზომები მიგრანტი ქალებისა და მამაკაცების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

დამქირავებლის როლი

მუხლი 11

(1) ხელმომწერი, როგორც თავისი როლით დამქირავებელი, აღიარებს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას სამუშაოზე აყვანის ყველა ასპექტში, მათ შორისაა სამუშაო ორგანიზაცია და სამუშაო პირობები.

(2) ხელმომწერი აღიარებს პროფესიული, სოციალური და პირადი ცხოვრების შეთავსების უფლებას და სამუშაო ადგილზე ღირსებისა და უსაფრთხოების დაცვის უფლებას.

(3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას გაატაროს ყველა საჭირო ღონისძიება, მათ შორის პოზიტიური ქმედება სამართლებრივ ჩარჩოებში, ზემოთ ხსენებული უფლებების დასაცავად.

(4) მესამე პუნქტში აღნიშნული ღონისძიებები უნდა მოიცავდნენ შემდეგს:

(ა) ორგანიზაციაში არსებული დასაქმების პოლიტიკისა და პროცედურის გადახედვა და თანასწორობის სამოქმედო გეგმის დასაქმების ნაწილის ჩამოყალიბება და განხორციელება, რათა აღმოფხვრილ იქნას უთანასწორობა დროის მიზანშეწონილ პერიოდში. ეს მათ შორის უნდა მოიცავდეს:

- თანაბარი ანაზღაურებას, მათ შორის თანაბარი ანაზღაურებას თანაბარი მნიშვნელობის საქმისათვის;
- ანაზღაურების, დაჯილდოების, გადახდის სისტემების და პენსიების გაცემის პროცედურების გადახედვას;
- ზომებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას დაწინაურების და კარიერის განვითარების სამართლიანი და გამჭვირვალე შესაძლებლობები;
- ზომებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებული წარმომადგენლობა ყველა დონეზე, კერძოდ რათა აღმოფხვრილ იქნას ნებისმიერი სახის უთანასწორობა ხელმძღვანელ პოზიციებზე;
- ზომებს, რათა აღმოფხვრილ იქნას სქესობრივი სამუშაო სეგრეგაცია და წახალისდნენ დაქირავებულები მოსინჯონ ძალები არატრადიციულ პოზიციებზე;
- ზომებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანი დაქირავების პოლიტიკა;
- ზომები, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი, ჯანსაღი და უსაფრთხო სამუშაო პირობები;
- დაქირავებულ თანამშრომლებთან და მათ პროფკავშირებთან კონსულტაციებისათვის საჭირო კონსულტაციებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებული მონაწილეობა ნებისმიერი სახის საკონსულტაციო ან მოლაპარაკებების ორგანოში

(ბ) სექსუალური ძალადობის აღკვეთა სამუშაო ადგილზე მკაფიო განცხადების გაკეთებით, რომ ამგვარი ქცევა მიუღებელია; მსხვერპლთა მხარდაჭერით; გამჭვირვალე პროცედურების შემოღებით და დანერგვით, რომლებიც გაუმკლავდებიან დამნაშავეებს და აგრეთვე ამ საკითხზე ცნობიერების ამაღლებით.

(გ) ორგანიზაციის ყველა დონეზე ისეთი სამუშაო პირობების შექმნა, რომელიც ასახავს ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებას.

(დ) სოციალური და პროფესიული ცხოვრების შეთავსების მხარდაჭერა, შემდეგი გზებით:

- ისეთი პოლიტიკის შემოღება, რომელიც საშუალებას იძლევა საჭიროებისამებრ მოხდეს სამუშაო განრიგში ცვლილებების შეტანა და დაქირავებულთა მფარველობის ქვეშ მყოფებზე ზრუნვის უზრუნველყოფა
- მამაკაცების ხელშეწყობა, გამოიყენონ თავიანთი უფლება გაეთავისუფლონ სამუშაოდან მათი მფარველობის ქვეშ მყოფ ადამიანებზე საზრუნავად.

სახელმწიფო შესყიდვები და კონტრაქტები

მუხლი 12

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების კუთხით თავისი დავალებების და ვალდებულებების განხორციელებისას, იქნება ეს კონტრაქტები პროდუქტების მიწოდებაზე, სერვისის მიწოდებაზე, თუ სამუშაოს შესრულებაზე, მას აქვს ვალდებულება, წახალისოს/ხელი შეუწყოს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას.

(2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ეს ვალდებულება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მაშინ, როდესაც ის კონტრაქტს აფორმებს გარეშე იურიდიულ პირთან საზოგადოებისათვის ისეთი მომსახურების მისაწოდებლად, რომლის უზრუნველყოფაზეც კანონით არის პასუხისმგებელი. ასეთ შემთხვევაში, ხელმომწერმა უნდა უზრუნველყოს, რომ იურიდიული პირი, რომელთანაც გაფორმდება კონტრაქტი (რა სახისაც არ უნდა იყოს ეს უკანასკნელი), იღებს იგივე პასუხისმგებლობას, რომ უზრუნველყოს და ხელი შეუწყოს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას, როგორც დაეკისრებოდა ხელმომწერს იმ შემთხვევაში, თუ თავად უზრუნველყოფდა მომსახურების მიწოდებას.

(3) ხელმომწერი ასევე იღებს ვალდებულებას გაატაროს შემდეგი ზომები, სადაც საჭიროა:

(ა) თითოეული კონტრაქტისათვის, რომლის გაფორმებასაც დააპირებს, გაითვალისწინოს შესაბამისი გენდერული ასპექტები და თანასწორობის სამართლებრივი ხელშეწყობის შესაძლებლობები;

(ბ) უზრუნველყოს, რომ კონტრაქტის სპეციფიკაციები ითვალისწინებენ გენდერული თანასწორობის მიზნებს ამ კონტრაქტისთვის;

(გ) უზრუნველყოს, რომ კონტრაქტის პირობები ითვალისწინებს და ასახავს ამ მიზნებს;

(დ) გამოიყენოს ეროვნული სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილება, რათა შეადგინოს სოციალურ სფეროში გარკვეული მაჩვენებლების მისაღწევად საჭირო პირობები;

(ე) სახელმწიფო შესყიდვებზე პასუხისმგებელი გახადოს თავისი თანამშრომლები ან მრჩეველები და გააცნოს კონტრაქტორებს მათი სამუშაოს გენდერული კომპონენტი, მათ შორის ტრეინინგის გზითაც;

(ვ) უზრუნველყოს, რომ ძირითადი კონტრაქტის ერთ-ერთი პირობა იყოს, ქვე-კონტრაქტორების დავალდებულება ხელი შეუწყონ გენდერულ თანასწორობას.

მომსახურების მიწოდების როლი

მუხლი 13 - განათლება და გრძელვადიანი სწავლება

(1) ხელმომწერი აღიარებს ყველას უფლებას, მიიღოს განათლება და აგრეთვე პროფესიული და გრძელვადიანი ტრეინინგის ყველასთვის ხელმისაწვდომობის უფლებას. ხელმომწერი აღიარებს განათლების მნიშვნელობას ცხოვრების ყველა ეტაპზე თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფისთვის და პროფესიული განვითარების ახალი გზების პოვნისთვის.

(2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ხელი შეუწყოს განათლების და პროფესიული და გრძელვადიანი სწავლების თანაბარ ხელმისაწვდომობას ქალებისა და კაცებისთვის, გოგონებისა და ბიჭებისთვის.

(3) ხელმომწერი აღიარებს საჭიროებას სწავლების ნებისმიერი ფორმიდან აღმოფხვრილ იქნას ქალებისა და მამაკაცების როლებზე ნებისმიერი სტერეოტიპული კონცეფცია. ამ მიზნით, ის

იღებს ვალდებულებას თავად განახორციელოს ან ხელი შეუწყოს შემდეგი ზომების გატარებას:

- სკოლების ან სხვა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო მასალების და სწავლების მეთოდების გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ ისინი უპირისპირდებიან სტერეოტიპულ შეხედულებებს
- სპეციფიკური ქმედებების გატარება, რათა წახალისდეს არატრადიციული კარიერული არჩევანი
- სამოქალაქო განათლების და მოქალაქეთა განათლების კურსებში ისეთი სპეციფიკური ელემენტების ჩართვა, რომლებიც ხაზს უსვამენ დემოკრატიულ პროცესებში ქალებისა და მამაკაცების თანაბარი მონაწილეობის მნიშვნელობას.

(4) ხელმომწერი აღიარებს, რომ ის, თუ როგორ იმართება სკოლები და სხვა სასწავლო დაწესებულებები, წარმოადგენს მნიშვნელოვან მაგალითს ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის. სწორედ ამიტომ, ის იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს სკოლის მენეჯმენტსა და ხელმძღვანელობაში ქალებისა და მამაკაცების დაბალანსებულ წარმომადგენლობას.

მუხლი 14 - ჯანდაცვა

(1) ხელმომწერი აღიარებს ყველას უფლებას ჰქონდეს მაღალი სტანდარტის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობა და ადასტურებს, რომ კარგი ხარისხის ჯანდაცვის და სამედიცინო მომსახურების და პრევენციული ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა ქალებისა და მამაკაცებისთვის არსებითი მნიშვნელობისაა ამ უფლების განხორციელებისათვის.

(2) ხელმომწერი აღიარებს რომ ქალებისა და მამაკაცებისთვის კარგი სამედიცინო მომსახურებით თანაბრად სარგებლობის შესაძლებლობის უზრუნველყოფა უნდა ითვალისწინებდეს მათ განსხვავებულ საჭიროებებს. იგი ასევე აღიარებს, რომ ეს საჭიროებები წარმოიშობა არა მხოლოდ ბიოლოგიური განსხვავებებისგან, არამედ აგრეთვე განსხვავებული საცხოვრებელი და სამუშაო პირობებისგან და სტერეოტიპული დამოკიდებულებისა და შეხედულებებისგანაც.

(3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, რომ თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში, მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, რათა ხელი შეუწყოს თავისი მოქალაქეებისთვის ჯანდაცვის მაღალ დონეზე განვითარებას. ამ მიზნით, ხელმომწერმა უნდა მიიღოს შემდეგი ზომები:

- შემოიღოს გენდერზე დაფუძნებული მიდგომა ჯანდაცვის და სამედიცინო მომსახურების დაგეგმვის, უზრუნველყოფის და მიწოდებისას;
- უზრუნველყოს, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესის, მათ შორის ჯანსაღი კვების და ვარჯიშის მნიშვნელობის, აგიტაციისას გათვალისწინებულ იქნას ქალებისა და მამაკაცების განსხვავებული საჭიროებები და დამოკიდებულება;
- უზრუნველყოს, რომ მედიცინის მუშაკები, მათ შორის ისინიც ვინც ჩართული არიან ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციაში, აღიარებენ, თუ როგორ შეუძლია გენდერს ზემოქმედება მოახდინოს ჯანდაცვაზე და ითვალისწინებენ, ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულ გამოცდილებას ჯანდაცვასთან მიმართებაში
- უზრუნველყოს, რომ მამაკაცებსა და ქალებს ხელი მიუწდებათ შესაბამის ინფორმაციაზე ჯანდაცვის შესახებ

მუხლი 15 - სოციალური დაცვა და მომსახურება

(1) ხელმომწერი აღიარებს რომ ყველას აქვს უფლება, მიიღოს აუცილებელი სოციალურ მომსახურება და ისარგებლოს სოციალური დახმარებით საჭიროების შემთხვევაში.

(2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალებს და მამაკაცებს აქვთ განსხვავებული მოთხოვნილებები, რომლებიც შეიძლება წარმოიშობოდეს მათი განსხვავებული სოციალური და ეკონომიკური პირობებიდან და სხვა ფაქტორებიდან. ამიტომ, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ქალებისა და მამაკაცების თანაბარი წვდომა სოციალურ მომსახურებაზე, ხელმომწერმა უნდა მიიღოს ყველა შესაძლო ზომა, მათ შორის:

- ჩართოს გენდერზე დაფუძნებული მიდგომა სოციალური მომსახურების და დაცვის დაგეგმვაში, უზრუნველყოფასა და მიწოდებაში
- უზრუნველყოს, რომ სოციალური დაცვის და მომსახურების მიწოდებაში ჩართული მხარეები იცნობენ, თუ როგორ ზემოქმედებს გენდერი ამ მომსახურებაზე და ითვალისწინებენ ქალებისა და მამაკაცების განსხვავებულ გამოცდილებას ამ კუთხით.

მუხლი 16 - სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებები

(1) ხელმომწერი აღიარებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კარგი ხარისხის სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებების, რომელიც ხელმსაწვდომია ყველა მშობლისა თუ მეურვისთვის, განურჩევლად მათი ფინანსური სიტუაციისა და რა როლს თამაშობს ის ქალებსა და მამაკაცებს შორის ნამდვილი თანასწორობის ხელშეწყობაში, სამსახურეობრივი, საზოგადოებრივი და პირადი ცხოვრების შეთავსებაში. ხელმომწერი აგრეთვე აღიარებს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ეს დაწესებულებები თამაშობენ სოციალური და ეკონომიკურ ცხოვრებაში და ადგილობრივი საზოგადოების ჩამოყალიბებაში ზოგადად.

(2) ხელმომწერი იღებს პასუხისმგებლობას, ხელი შეუწყოს და პოპულარიზაცია გაუწიოს ამგვარ დაწესებულებებს პირდაპირ ან სხვა მიმწოდებლების საშუალებით. იგი აგრეთვე იღებს ვალდებულებას, წახალისოს ამგვარი მომსახურების მიწოდება სხვების მიერ, მათ შორის ადგილობრივი დამქირავებლების მიერ.

(3) ხელმომწერი აღიარებს, რომ ბავშვების აღზრდა საჭიროებს ქალებსა და მამაკაცებს შორის ვალდებულებების გადანაწილებას, ისევე როგორც მთლიანად საზოგადოებაში და იღებს პასუხისმგებლობას, წინ აღუდგეს გენდერული სტერეოტიპს, რომლის მიხედვითაც, ბავშვის აღზრდა ძირითადად ქალის დავალებად ან პასუხისმგებლობად მოიაზრება.

მუხლი 17 - მფარველობის ქვეშ მყოფ სხვა ადამიანებზე ზრუნვა

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალები და მამაკაცები პასუხისმგებელნი არიან სხვა ადამიანებზეც, შვილების გარდა და რომ ამ პასუხისმგებლობამ შეიძლება გავლენა იქონიოს მათ შესაძლებლობაზე, სრულყოფილად შეასრულონ თავიანთი სოციალური და ეკონომიკური ვალდებულებები.

(2) ხელმომწერი აგრეთვე აღიარებს რომ ზრუნვის ამგვარი ვალდებულება არაპროპორციულად არის მინიჭებული ქალზე და შესაბამისად წარმოადგენს ბარიერს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მიღწევისათვის.

(3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას წინ აღუდგეს ამ უთანასწორობას, შემდეგი გზებით:

- მფარველობის ქვეშ მყოფი ადამიანებისათვის მაღალი ხარისხის, ხელმისაწვდომი დაწესებულებების მხარდაჭერა და ხელშეწყობა პირდაპირ ან მომსახურების სხვა მომწოდებლების მიერ

- აღმოუჩინოს მხარდაჭერა და დახმარება მათ, ვინც განიცდიან სოციალურ იზოლაციას თავიანთი მზრუნველობითი პასუხისმგებლობის შედეგად
- იმ სტერეოტიპის წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის მიხედვითაც ამ ადამიანებზე ზრუნვა უპირველესად ქალის ვალდებულებაა.

მუხლი 18 - სოციალური ჩართულობა

(1) ხელმომწერი აღიარებს საყოველთაო უფლებას, იყოს დაცული სიღარიბისგან და სოციალური იზოლაციისგან და რომ ქალები ზოგადად უფრო მეტად ხდებიან სოციალური იზოლაციის მსხვერპლნი, რადგან მათ ნაკლები წვდომა აქვთ რესურსებზე, საქონელზე, მომსახურებაზე და შესაძლებლობებზე, ვიდრე კაცებს.

(2) ამიტომ ხელმომწერი იღებს ვალდებულებას თავისი საქმიანობის და მომსახურების ფარგლებში და სოციალურ პარტნიორობთან მუშაობისას ზოგადი კოორდინირებული მიდგომის ჩარჩოში მიიღოს ზომები იმისათვის, რომ:

- პოპულარიზაცია გაუწიოს დასაქმების, საცხოვრებლით უზრუნველყოფის, სწავლების, განათლების, კულტურის, ინფორმაციის და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, სოციალური და სამედიცინო დახმარების ხელმისაწვდომობას ყველასთვის, ვინც ცხოვრობს სოციალური იზოლაციის ან სიღარიბის პირობებში, ან ასეთი რისკის ქვეშ
- აღიაროს სოციალურ იზოლაციაში მყოფი ქალების განსაკუთრებული მოთხოვნილებები და მდგომარეობა
- ხელი შეუწყოს მიგრანტი ქალებისა და მამაკაცების ინტეგრაციას, მათი სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით

მუხლი 19 - საცხოვრებლით უზრუნველყოფა

(1) ხელმომწერი აღიარებს საცხოვრებლით უზრუნველყოფის უფლებას და ადასტურებს, რომ კარგი ხარისხის საცხოვრებლის ხელმისაწვდომობა ადამიანის უმთავრეს საჭიროებას წარმოადგენს, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ინდივიდის და მისი ოჯახის კეთილდღეობისთვის

(2) ხელმომწერი ასევე აღიარებს რომ ქალებს და მამაკაცებს ხშირად სპეციფიკური და განსხვავებული საჭიროებები აქვთ საცხოვრებელთან მიმართებაში, რაც სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული. მათ შორის:

- (ა) საშუალოდ ქალებს უფრო ნაკლები შემოსავალი და რესურსები აქვთ, ვიდრე მამაკაცებს და შესაბამისად, მათ ესაჭიროებათ უფრო ხელმისაწვდომი საცხოვრებელი;
- (ბ) უმეტეს ერთმშობლიან ოჯახებში ქალები არიან ოჯახის უფროსები, შესაბამისად მათ მეტად ესაჭიროებათ სოციალური საცხოვრებელი;
- (გ) მოწყვლადი ჯგუფის მამაკაცები ხშირად დომინირებულად არიან წარმოდგენილნი უსახლკაროებს შორის;

(3) შესაბამისად ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, შეძლებისდაგვარად:

- (ა) უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს ადეკვატური ფართობის და სტანდარტის საცხოვრებლით და შესაბამისი საცხოვრებელი გარემოთი;
- (ბ) გაატაროს ღონისძიებები უსახლკარობის აღსაკვეთად და კერძოდ კი უსახლკაროთა დასახმარებლად, საჭიროების, მოწყვლადობის კრიტერიუმებზე დაყრდნობით და დისკრიმინაციის გარეშე.

(გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ხელი შეუწყოს საცხოვრებლის ფასის ისეთ დარეგულირებას, რომ იგი ხელმისაწვდომი იყოს მათთვის, ვისაც არ გააჩნია შესაბამისი რესურსები;

(4) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ან ხელი შეუწყოს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ უფლებას იყვნენ მოიჯარე, საცხოვრებლის მფლობელი ან სხვა ფორმით განმკარგავი და აგრეთვე ამ მიზნით გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ან გავლენა, რათა უზრუნველყოს ქალების თანაბარი წვდომა იპოთეკაზე და საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის სხვა სახის ფინანსურ დახმარებასა თუ კრედიტზე.

მუხლი 20 - კულტურა, სპორტი და რეკრეაცია

(1) ხელმომწერი აღიარებს ყველას უფლებას მონაწილეობა მიიღოს შემოქმედებით-კულტურულ ცხოვრებაში და სიამოვნება მიიღოს ხელოვნებით.

(2) ხელმომწერი აგრეთვე აღიარებს თუ რა როლს ასრულებს სპორტი საზოგადოების ცხოვრებაში და მე-14 მუხლში მოცემული ჯანდაცვის უფლების უზრუნველყოფაში. იგი აგრეთვე აღიარებს, რომ ქალებს და მამაკაცებს თანაბარი უფლება აქვთ კულტურული, რეკრეაციული და სპორტული აქტივობების თუ დაწესებულებების წვდომისა.

(3) ხელმომწერი აღიარებს რომ ქალებსა და მამაკაცებს განსხვავებული გამოცდილება და ინტერესები აქვთ კულტურასთან, სპორტსა და რეკრეაციასთან მიმართებაში და რომ ამ განსხვავებებმა შეიძლება გამოიწვიოს სტერეოტიპული დამოკიდებულება და ქმედებები და შესაბამისად იგი იღებს ვალდებულებას შეძლებისდაგვარად მიიღოს შემდეგი ზომები:

- უზრუნველყოს რომ გონივრულობის ფარგლებში ქალებსა და მამაკაცებს, გოგონებსა და ბიჭებს თანაბარი წვდომა ქონდეთ სპორტულ, რეკრეაციულ და კულტურულ ღონისძიებებსა და აქტივობებზე
- წახალისოს ქალები და მამაკაცები, ბიჭები და გოგონები თანაბრად მიიღონ მონაწილეობა სპორტულ და კულტურულ აქტივობებში, მათ შორის ისეთებში, რომლებიც ტრადიციულად განხილება “ქალურად” ან “კაცურად”
- ხელოვნების, სპორტსმენების ხელშეწყობა ისეთი კულტურული და სპორტული აქტივობების პოპულარიზაციაში, რომლებიც ეწინააღმდეგება სტერეოტიპულ შეხედულებებს ქალებისა და მამაკაცების შესახებ
- საჯარო ბიბლიოთეკის ისეთი მომსახურების ხელშეწყობა, რომელიც უპირისპირდება გენდერულ სტერეოტიპებს, მაგალითად თავიანთი წიგნების და სხვა მასალის მარაგით და სააგიტაციო საქმიანობით.

მუხლი 21 - უსაფრთხოების ზომები

(1) ხელმომწერი აღიარებს თითოეული ქალის და მამაკაცის უფლებას იყოს უსაფრთხოდ, ასევე მათ გადაადგილების თავისუფლების უფლებას და რომ ეს უფლებები არ შეიძლება თავისუფლად და თანაბრად იქნას განხორციელებული იმ შემთხვევაში, თუ ქალები ან მამაკაცები არიან დაუცველები და არასაიმედო მდგომარეობაში პირად თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

(2) ხელმომწერი აგრეთვე აღიარებს, რომ ქალები და მამაკაცები, ნაწილობრივ განსხვავებული ცხოვრებისეული ვალდებულებების გამო, ხშირად უსაფრთხოების სხვადასხვა პრობლემების წინაშე დგებიან, რომლებიც გადაჭრას საჭიროებენ.

(3) ამიტომ, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას:

(ა) გენდერული პერსპექტივიდან გაანალიზოს იმ ინციდენტების ხარისხი და მასშტაბები (მათ შორის ინდივიდის წინააღმდეგ ჩადენილი სერიოზული დანაშაული), რომლებიც გავლენას ახდენენ ქალებისა და მამაკაცების უსაფრთხოებაზე და შეძლებისდაგვარად გაზომოს დანაშაულის შიშის და საფრთხის შეგრძნების წყაროების ბუნება და დონე.

(ბ) განავითაროს და განახორციელოს სტრატეგიები, პოლიტიკა და აქტივობები, მათ შორის კონკრეტული ნაბიჯები ადგილობრივი გარემოს გაუმჯობესებისათვის (მაგალითად სატრანსპორტო კვთები, მანქანის სადგომები, ქუჩის განათება), ისევე როგორც წესრიგის დამცველი და სხვა მსგავსი მომსახურებების გაუმჯობესებისათვის, რათა გაძლიერდეს ქალებისა და მამაკაცების უსაფრთხოება და შემცირდეს საფრთხის და არასაიმედოობის მათი აღქმა.

მუხლი 22 - გენდერული ძალადობა

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ გენდერული ძალადობა, რომელიც არაპროპორციულად ზემოქმედებს ქალებზე, წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას და არის ადამიანის ღირსების, ფიზიკური და ემოციური მდგრადობის შეურაცხყოფელი.

(2) ხელმომწერი აღიარებს რომ გენდერული ძალადობა წარმოიშობა დამნაშავეს მხრიდან იმ შეხედულებისგან, თითქოს ერთი სქესი მეორეზე უპირატესია

(3) ამრიგად ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, შეიმუშავოს და გააძლიეროს პოლიტიკა და ქმედებები გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, მათ შორის:

- მსხვერპლთათვის სპეციალური მხარდაჭერი სტრუქტურების შექმნა, უზრუნველყოფა;
- საჯარო ინფორმაციის მიწოდება თითოეულ ადგილობრივ ენაზე ადგილზე არსებული და ხელმისაწვდომი დახმარების შესახებ;
- იმის უზრუნველყოფა, რომ პროფესიონალ მუშაკებს შეუძლიათ მსხვერპლთა აღმოჩენა და დახმარება;
- შესაბამის მომსახურებებს შორის, როგორცაა პოლიცია, ჯანდაცვითა და დასახლებით უზრუნველმყოფი ორგანოები, არსებობს ეფექტური კოორდინაცია;
- ცნობიერების ასამაღლებელი ისეთი კამპანიების და საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა, რომლებიც მიმართულია პოტენციურ თუ რეალურ მსხვერპლსა და დამნაშავეებზე.

მუხლი 23 - ადამიანით ვაჭრობა

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ადამიანით ვაჭრობის დანაშაული, რომელიც არაპროპორციულად ზემოქმედებს ქალებსა და გოგონებზე, წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას და არის ადამიანის ღირსების, ფიზიკური და ემოციური მდგრადობის შეურაცხყოფელი.

(2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, შეიმუშავოს და გააძლიეროს პოლიტიკა და ქმედებები ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ, მათ შორის:

- ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები;
- მსხვერპლთა აღმოჩენის და მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პროფესიული კადრებისთვის ტრეინინგის პროგრამები;
- ღონისძიებები მოთხოვნის შემცირებისათვის;

- შესაბამისი ზომები მსხვერპლთა დასახმარებლად, მათ შორის სამედიცინო დახმარების, ადექვატური და უსაფრთხო საცხოვრებლის და თარგმანის ხელმისაწვდომობა.

დაგეგმვა და მდგრადი განვითარება

მუხლი 24 - მდგრადი განვითარება

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ ამ ტერიტორიის მომავლისთვის სტრატეგიების განვითარება და დაგეგმვისათვის მდგრადი განვითარების პრინციპი სრულად უნდა იქნას გათვალისწინებული, მათ შორის ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და კულტურული ასპექტების დაბალანსებული ინტეგრირება და ისევე როგორც ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის მხარდაჭერა.

(2) ხელმომწერი ამრიგად იღებს ვალდებულებას, გაითვალისწინოს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის პრინციპი, როგორც ფუნდამენტური ასპექტი ყველა სახის დაგეგმვისას ან სტრატეგიის განვითარებისას, თავისი მხარის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 25 - ურბანული და ადგილობრივი დაგეგმარება

(1) ხელმომწერი აღიარებს სივრცითი, სატრანსპორტო და ეკონომიკური განვითარების და მიწის მოხმარების პოლიტიკის მნიშვნელობას ისეთი პირობების უზრუნველყოფისთვის, სადაც ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის უფლება სრულად იქნება რეალიზებული.

(2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ამგვარი პოლიტიკის და გეგმების შექმნა, დამტკიცება და განხორციელება.

- ადგილობრივი ცხოვრების ყველა ასპექტში ეფექტური თანასწორობის მხარდაჭერის მნიშვნელობა სრულად არის გათვალისწინებული;
- შესაბამის ადგილობრივ და სხვა სახის მონაცემებზე დაფუძნებით სრულად არის გათვალისწინებული ქალებისა და მამაკაცების სპეციფიკური მოთხოვნები დასაქმების, მომსახურების და კულტურული ცხოვრების წვდომის, განათლების და საოჯახო პასუხისმგებლობების კუთხით, ისევე როგორც ხელმომწერის პირადი გენდერული შეფასებები
- ქალებისა და მამაკაცების სპეციფიკური საჭიროებების გასათვალისწინებლად მაღალი ხარისხის კონსტრუქციული გადაწყვეტილებები მიიღება

მუხლი 26 - მობილობა და ტრანსპორტი

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ მობილობა და სატრანსპორტო საშუალებების ხელმისაწვდომობა არსებითი პირობებია, რათა ქალებმა და მამაკაცებმა მოახდინონ ბევრი უფლების, ამოცანის და აქტივობების რეალიზება, მათ შორის სამსახურის, განათლების, კულტურული და არსებითი მნიშვნელობის მომსახურების წვდომა. იგი ასევე აღიარებს, რომ რეგიონის ან მუნიციპალიტეტის მდგრადობა და წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ეფექტური, კარგი ხარისხის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის და საჯარო სატრანსპორტო მომსახურების განვითარებაზე.

(2) ხელმომწერი აღიარებს რომ ქალებს და მამაკაცებს ხშირად განსხვავებული მოთხოვნილებები აქვთ, ისევე როგორც მოხმარების სხვადასხვა ხასიათი მობილობასა და

ტრანსპორტთან მიმართებაში, რაც გამოწვეულია ისეთი ფაქტორებისგან როგორცაა შემოსავალი, მზრუნველობითი პასუხისმგებლობანი ან სამუშაო საათები და რომ შედეგად ქალები საჯარო ტრანსპორტის უფრო აქტიური მომხმარებლები არიან, ვიდრე - მამაკაცები.

(3) ამიტომ ხელმომწერი იღებს ვალდებულებას:

(ა) გაითვალისწინოს ქალებისა და მამაკაცების შესაბამისი მობილობის მოთხოვნილებები და ტრანსპორტის მოხმარების ხასიათი, მათ შორის ურბანულ და სასოფლო დასახლებებს შორის განსხვავებები;

(ბ) მისი უფლებამოსილების სფეროში მოქალაქეებისათვის ხელმისაწვდომი სატრანსპორტო მომსახურება აკმაყოფილებს ქალებისა და მამაკაცების როგორც ზოგად ისე სპეციფიკურ მოთხოვნილებებს და აგრეთვე ხელს უწყობს ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობას ადგილობრივ ცხოვრებაში.

(4) ხელმომწერი აგრეთვე იღებს ვალდებულებას, ხელი შეუწყოს საჯარო სატრანსპორტო მომსახურების პროგრესულ გაუმჯობესებას თავისი ტერიტორიის ფარგლებში, რათა უზრუნველყოს ქალებისა და მამაკაცების სპეციფიკური და საერთო მოთხოვნილებები რეგულარული, ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ტრანსპორტისადმი და ხელი შეუწყოს მის მდგრად განვითარებას

მუხლი 27 - ეკონომიკური განვითარება

(1) ხელმომწერი აღიარებს, რომ დაბალანსებული და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიღწევა არსებითი მნიშვნელობისაა მუნიციპალიტეტის ან რეგიონის წარმატებისათვის და რომ ამ სფეროში მისი აქტივობა და მომსახურებებს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის ხელშესაწყობად.

(2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ქალების დასაქმების დონის და ხარისხის გაზრდის საჭიროებას და აგრეთვე იმას, რომ ხანგრძლივი დაუსაქმებლობით და აუნაზღაურებელი სამუშაოთი გამოწვეული სიღარიბის რისკი განსაკუთრებით მაღალია ქალებისთვის.

(3) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, ეკონომიკური განვითარების სფეროში თავისი საქმიანობის და მომსახურების ფარგლებში სრულად გაითვალისწინოს ქალებისა და მამაკაცების მოთხოვნილებები და ინტერესები და მათ შორის თანასწორობის გაზრდის შესაძლებლობები და შესაბამისად მიიღოს ამის მისაღწევად საჭირო ზომები. მათ შორის:

- ქალი მეწარმეების დახმარება;
- იმის უზრუნველყოფა, რომ საწარმოების ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერა ხელს უწყობს გენდერულ თანასწორობას;
- ქალი სტაჟიორების მხარდაჭერა, რაღა მათ შეიძინონ უნარები და მიიღონ კვალიფიკაცია ისეთი სამუშაოსთვის რომლებიც ტრადიციულად “მამაკაცის საქმედ” აღიქმება და პირიქით;
- წახალისონ დამქირავებლები, რათა აიყვანონ ქალი შეგირდები და სტაჟიორები ისეთ პოზიციებზე, რაც ტრადიციულად “მამაკაცის საქმედ” აღიქმება და პირიქით

მუხლი 28 - გარემო

(1) ხელმომწერი აღიარებს თავის პასუხისმგებლობას, დაიცვას და გააუმჯობესოს გარემოს ხარისხი თავის ტერიტორიაზე, მათ შორის ადგილობრივი პოლიტიკა ნარჩენებთან, ჰაერის ხარისხთან, ბიომრავალფეროვნებასთან და კლიმატზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით. ის

აღიარებს ქალებისა და მამაკაცების თანაბარ უფლებას ისარგებლონ გარემოსთან დაკავშირებული მომსახურებებით და პოლიტიკით.

(2) ხელმომწერი აღიარებს, რომ ბევრგან ქალისა და მამაკაცის ცხოვრების წესი განსხვავდება და რომ ქალები და განსხვავდებიან ადგილობრივი და საჯარო სერვისებისა ან საჯარო სივრცეების მოხმარებაში და აწყდებიან განსხვავებულ გარემოსდაცვით პრობლემებს.

(3) შესაბამისად, ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, განავითაროს გარემოსდაცვითი პოლიტიკა და სერვისები, რომლებიც გაითვალისწინებენ ქალებისა და მამაკაცების სპეციფიკურ მოთხოვნილებებს და ცხოვრების სტილს და თაობებს შორის სოლიდარობის პრინციპს.

მარეგულირებლის როლი

მუხლი 29 - ადგილობრივი მთავრობა როგორც მარეგულირებელი

(1) ხელმომწერი, როგორც თავის მხარეში მარეგულირებლის დავალების და როლის შემსრულებელი, აღიარებს ეფექტური რეგულირების და მომხმარებლის დაცვის მნიშვნელობას ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. იგი აგრეთვე აღიარებს, რომ შესაბამისი მარეგულირებელი აქტივობები შეიძლება განსხვავებულად აისახოს ქალებსა და მამაკაცებზე;

(2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას, რომ თავისი მარეგულირებელი ვალდებულებების შესრულებისას სრულად გაითვალისწინოს ქალებისა და მამაკაცების სპეციფიკური მოთხოვნილებები, ინტერესები და გარემოებები.

თვინინგი და საერთაშორისო თანამშრომლობა

მუხლი 30

(1) ხელმომწერი აღიარებს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებისთვის თვინინგის და ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის ღირებულებას მოქალაქეების დაახლოების საქმეში და ეროვნულ საზღვრებს შორის საერთო სწავლების და გაგების ხელშეწყობაში

(2) ხელმომწერი იღებს ვალდებულებას თვინინგის და ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის სფეროში თავისი საქმიანობის ფარგლებში:

- სხვადასხვა წარმომავლობის ჩართოს ქალები და მამაკაცები თანაბრად ამ საქმიანობაში;
- გამოიყენოს თვინინგის კავშირები და ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობა, როგორც გამოცდილების და ცოდნის გაზიარების პლატფორმა ქალებსა და მამაკაცებს შორის თანასწორობის საკითხებზე;
- მოახდინოს გენდერული თანასწორობის ასფექტის ინტეგრირება თავის დეცენტრალიზებულ თანამშრომლობით საქმიანობაში.

ევროპული მუნიციპალიტეტების და რეგიონების საბჭო (CEMR) არის ყველაზე ფართომასშტაბიანი ადგილობრივი და რეგიონალური ასოციაცია ევროპაში.

მისი წევრები არიან ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების ეროვნული ასოციაციები ევროპის ოცდაათზე მეტი ქვეყნიდან. CEMR-ის ძირითად მიზანია ძლიერი, ერთიანი ევროპის მხარდაჭერა, რომელიც ეფუძნება ადგილობრივ და რეგიონულ თვითმმართველობას და დემოკრატიას; ევროპის, სადაც გადაწყვეტილებები მოსახლეობასთან მაქსიმალურად შეთანხმებით მიიღება სუბსიდიარობის პრინციპის თანახმად.

CEMR-ის საქმიანობა ფარავს საქმეთა ფართო სპექტრს, მათ შორის საზოგადოებრივ სერვისებს, ტრანსპორტს, რეგიონულ პოლიტიკას, გარემოს, თანაბარ შესაძლებლობებს.

CEMR ასევე არის აქტიური საერთაშორისო დონეზე. ის არის ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მსოფლიო ორგანიზაციის “გაერთიანებული ქალაქები და ადგილობრივი თვითმმართველობები” (UCLG) ევროპული ნაწილი

მიუს მოედანი #1

1000, ბრიუსელი:

ტელ: + 32 2 511 74 77

ფაქსი : + 32 2 511 09 49

CEMR მადლობას უხდის ევროკომისიას ფინანსური მხარდაჭერისათვის.

ევროკომისია პასუხისმგებელი არაა აქ წარმოდგენილი ინფორმაციის

რაიმე სახით გამოყენებაზე.